



მათემატიკა - II კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____

სკოლა, კლასი _____


თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____

ამოცანები

1) გიას წიგნის საყიდლად აკლდება 13 ლარი, ანის კი იგივე წიგნის საყიდლად აკლდება 2 ლარი. ორივემ ერთადვე ვერ შეძლეს ყიდვა, რადგან დააკლდათ 1 ლარი. რა ღირს წიგნი და რა თანხა ჰქონია თითოეულს?

2) რამდენი კუბურითაა აგებული ეს შენობა?



3) შეავსეთ გამოტოვებული ციფრებით უჯრები ისე, რომ მიიღოთ სწორი ტოლობა
 $52 + \square 3 - 2\square = 68.$


4) მოცემული სახის ოთხკუთხედებში გაავლეთ ისეთი ორი მონაკვეთი, რომ ეს ოთხკუთხედი დაიყოს:

ა) სამ სამკუთხედად;

ბ) ერთ სამკუთხედად ერთ ოთხკუთხედად და ერთ ხუთკუთხედად;

გ) სამ სამკუთხედად და ერთ ოთხკუთხედად;

დ) ერთ სამკუთხედად ორ ოთხკუთხედად და ერთ ხუთკუთხედად.



5) შეავსეთ ეს ცხრილი ისეთი რიცხვებით, რომ აქ მითითებული ყოველი ისრის მიმართულებით განლაგებული რიცხვების ჯამი იყოს ერთი და იმავე რიცხვის ტოლი.

	13				
	18				
→	15		19		
	↗	↑	↑	↑	↖

6) ლალიმ 7 ლარი დაიტოვა, დანარჩენი თანხის ნახევარი კი თანაბრად გაუნაწილა მარისა და ნუცას. ნუცას შეხვდა 13 ლარი. რამდენი ლარი ჰქონია თავდაპირველად ლალის?

გისურვებთ წარმატებას !